

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება



სამართლიანი არჩევნები

საარჩევნო სიახლენი

მეხუთე გამოშვება

17-23 დეკემბერი

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) აგრძელებს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მონიტორინგს 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. „სამართლიანი არჩევნები“ ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენი“ მეხუთე გამოშვებაში წარმოგიდგენთ 23 დეკემბრისთვის არსებულ შედეგებს.

საარჩევნო ადმინისტრაცია

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის 17 დეკემბრის №37/2007 დადგენილების მიხედვით მაღალმთიანი ოლქების ძნელად მისაღწევი უბნებში შეიძლება არჩევნები ჩატარდეს დანიშნულზე უფრო ადრე - 28 დეკემბრიდან 5 იანვრამდე ნებისმიერ დღეს. ეს ოლქებია:

1. №28 დუშეთის საარჩევნო ოლქის: №16, №17, №34, №41, №42 საარჩევნო უბნები;
2. №18 ახმეტის საარჩევნო ოლქის: №14 საარჩევნო უბანი;
3. №29 ყაზბეგის საარჩევნო ოლქის: №4, №8, №9 და №10 საარჩევნო უბნები;
4. №46 ლენტეხის საარჩევნო ოლქის: №16 საარჩევნო უბანი;
5. №47 მესტიის საარჩევნო ოლქის: №11, №12, №13, №27, №28, №30, №34, №35, №39 და №40 საარჩევნო უბნები.

თუმცა აღნიშნულ უბნებს შეიძლება კიდევ დაემატოს მაღალმთიანი რეგიონის რამდენიმე უბანი. ამისათვის საოლქო საარჩევნო კომისიამ უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და აცნობოს იმ ძნელად მისაღწევი უბნების შესახებ, სადაც საჭიროდ თვლის არჩევნების დანიშნულზე ადრე ჩატარებას.

20 დეკემბერს ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ეწვია ჩუღურეთის ოლქის № მე-4 საარჩევნო უბანს, სადაც განხორციელდა არჩევნების დღის ხმის მიცემის პროცედურების ინსცენირება ორი ტიპის ამომრჩევლისათვის: ერთი ამომრჩეველი, რომელიც არის ერთაინ ამომრჩეველთა სიაში და მეორე - რომელმაც არჩევნების დღეს ხმა უნდა მისცეს დამატებითი სიის მეშვეობით. საარჩევნო უბანზე ასევე მოეწყო დასამანოტაჟებელი ვიდეო კამერების პრეზენტაცია, სადაც ცესკო-ს თავმჯდომარემ განმარტა, რომ უბნებზე ვიდეო კამერების დაყენების მიზანი კენჭისყრის დღეს საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. ამასთან მან განაცხადა, რომ არჩევნების დღეს ყველა ამომრჩევლის ხმის მიცემის ფარულობა გარანტირებული იქნება.

2007 წლის 21 დეკემბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაიწყო საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა, რომელიც მიმდინარეობს 5 სტამბაში, ყოველ მათგანში სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ მიავლინა



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

თითო დამკვირვებელი ამ პროცესებზე მონიტორინგის განსახორციელებლად. საყურადღებოა, რომ 22 დეკემბერს 13:20 საათზე „სამართლიანი არჩევნების“ აკრედიტირებული დამკვირვებელი კახა ჭაჭუა არ შეუშვეს სტამბა „პოლიგრაფში“, ხელმძღვანელი პირის არყოფნის გამო. აღნიშნულთან დაკავშირებით ორგანიზაციამ მიმართა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელმაც უზრუნველყო „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის მიერ ბიულეტენების ბეჭდვის პროცესზე მონიტორინგის განხორციელება.

22 დეკემბერს საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის №36/2007 დეკემბრის დადგენილებით, საქართველოს საზღვრებს გარეთ, კერძოდ, ერაყსა და კოსოვოში განლაგებულ სამშვიდობო ბატალიონებში მოსამსახურე საქართველოს მოქალაქეებისთვის საარჩევნო უფლების განხორციელების მიზნით, შეიქმნა შემდეგი საარჩევნო უბნები: 1. ერაყი, ქ. ბაღდათი, მწვანე ზონა, ბაზა „იუნიონი“ – 1848 ამომრჩეველი; 2. ერაყი, ვასიტის პროვინცია, ქ. ალკუტი, ბაზა „დელტა“ – 233 ამომრჩეველი; 3. კოსოვოს სამშვიდობო რეგიონი, ქ. პრიზნანი, სამხედრო ბაზა „აირფილდ“ – 318 ამომრჩეველი.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 21-ე მუხლის, მე-5 პუნქტით დადგენილ ვადაში (20 დეკემბერი, არჩევნებამდე არაუგვიანეს 16 დღისა) პოლიტიკურმა პარტიებმა გამოიწვიეს საუბნო საარჩევნო კომისიებში მათ მიერ წარდგენილი წევრები. პარტიები, რომლებმაც შეცვალეს საარჩევნო კომისიების წევრები, არიან ძირითადად ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, თუმცა „სამართლიანი არჩევნებისთვის“ უცნობია მიზეზი, თუ რამ გამოიწვია მათი მხრიდან ასეთი მასიური ცვლილებები.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტით და ცესკო-ს № 110/2007 განკარგულებით, რიგ საარჩევნო ოლქებში შეიქმნა საარჩევნო უბნები. ამ უბნების შექმნას კანონი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც სამხედრო ნაწილში, საავამდყოფოში, ან სხვა სტაციონარულ დაწესებულებაში 50 ამომრჩეველზე მეტია. სწორედ ასეთი უბნები შეიქმნა შემდეგ საარჩევნო ოლქებში: მთაწმინდა (№1, №34), ვაკე (№71), საბურთალო (№83, №84, №85, №86), კრწანისი (№40, №41, №42, №43, №44, №45, №46, №47, №48), ისანი (№77, №78, №160), სამგორი (№114, №115, №116, №117, №118), ჩუღურეთი (№41, №43, №44), დიდუბე (№56, №57), გლდანის (№108, №109), თიანეთი (№20), რუსთავი (№71), გარდაბანი (№65, №66, №67, №68, №69), მცხეთა (№31, №33), გორი (№24, №87, №88, №89, №90), ხაშური (№47), ახალციხე (№32, №33, №34), ახალქალაქი (№66, №67), ნინოწმინდა (№35, №36), ლიახვი (№21, №22, №23), ბაღდათი (№25), წყალტუბო (№63), ქუთაისი (№121, №122, №123, №124), სენაკი (№44, №45, №46), ზუგდიდი (№105), ხელვაჩაური (№50, №58, №59). ახლად შექმნილი უბნების ნომრებისა და სხვა რეკვიზიტების (მისამართის, ტელეფონის ნომრის) გამოქვეყნება არ მოხდა კანონით დადგენილ ვადაში 23 დეკემბრამდე, (საარჩევნო



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

კოდექსის 16-ე მუხლი მე-7 პუნქტი) ისნის, სამგორის, გლდანის, თიანეთის, მცხეთის, ხაშურის და წყალტუბოს საარჩევნო ოლქებში.

ამომრჩეველთა სიები

მოქმედი საარჩევნო კოდექსის მე-10 მუხლის, მე-11 პუნქტის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურე პირებს საშუალებას აძლევს ხმა მისცენ თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით. დადგენილ ვადაში - 22 დეკემბერს (არჩევნებამდე არაუგვიანეს 14-ე დღე) ამომრჩეველთა საერთო სიაში შეყვანის მიზნით სამხედრო პირებმა მიმართეს შემდეგ საარჩევნო უბნებს: სიღნაღის საარჩევნო ოლქის №16, №20; ლაგოდეხის საარჩევნო ოლქის №3, №4, №8, №16 და დუშეთის საარჩევნო ოლქის №34, №41, №42 საარჩევნო უბანებს.

„სამართლიანი არჩევნების“ მიერ არ დაფიქსირებულა ისეთი შემთხვევა, როდესაც ოლქის მიერ სიაში შეყვანაზე უარის თქმის გამო ამომრჩეველს მიემართა სასამართლოსთვის. თუმცა ქუთაისის საარჩევნო ოლქის № 5 საარჩევნო უბნის ამომრჩეველმა საჩივრით მიმართა პირდაპირ სასამართლოს იმ მიზეზით, რომ ვადების გასვლის გამო ოლქს აღარ ჰქონდა უფლება ცვლილება შეეტანა ამომრჩეველთა ერთიან სიაში. ამ ამომრჩევლის სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა.

წინასაარჩევნო გარემო

„სამართლიანი არჩევნების“ ხულოს დამკვირვებელს ჰქონდა პრობლემა საოფისე ფართის ქირაობასთან დაკავშირებით – მესაკუთრემ, რომელიც დასაქმებულია ერთ-ერთ კერძო კომპანიაში, უარი განუცხადა ფართის მიქირავებაზე. როგორც თავად განმარტა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიიღო გაფრთხილება, რომ „სამართლიანი არჩევნების“ კოორდინატორისათვის ოფისის მიქირავების შემთხვევაში მის სამუშაო ადგილს საფრთხე დაემუქრებოდა. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, ხულოში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებსაც შეექმნათ პრობლემები საოფისე ფართების დაქირავებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მესაკუთრეებმა უმიზეზოდ დაატოვებინეს დაქირავებული შენობა ერთ-ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის შტაბის წევრებს. „სამართლიანი არჩევნები“ თავს იკავებს მესაკუთრეთა სახელების დაკონკრეტებისაგან, რადგან თავად მათი სურვილია, არ მოხდეს მათი იდენტიფიცირება.

„სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, სიღნაღის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით 14 დეკემბერს ბათილად იქნა ცნობილი 3 დეკემბრის საკრებულოს განკარგულება, რომლითაც დადგინდა საარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის გამოყოფილი ფართების ნუსხა. ახალი ბრძანებით სიღნაღის ოლქში ასეთი ობიექტების ნუსხა 11-დან 4-მდე შემცირდა. გადაწყვეტილება პრეზიდენტობის კანდიდატებისათვის ცნობილი გახდა მეორე დღესვე. თუმცა სამწუხაროდ, ამ გადაწყვეტილებამ ხელი შეუშალა პრეზიდენტობის ერთ-ერთ



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

კანდიდატს 16 დეკემბერს წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით ჩაეტარებინა შეხვედრა ამომრჩევლებთან, კერძოდ ვერ მოხერხდა დაგეგმილი ფილმის ჩვენება.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, ბათუმში ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების მიერ ამომრჩევლებს დაურიგდათ კვების პროდუქტები, თუ კი წარადგენდნენ პირადობის მოწმობებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ უარს ეუბნებოდნენ პროდუქტის გადაცემაზე. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აქტივისტების ინფორმაციით, პირადობის მოწმობის მონაცემების ჩაწერა მათ სჭირდებოდათ პრეზიდენტობის კანდიდატის დარეგისტრირებისთვის აუცილებელი ხელმოწერების შესაგროვებლად. ნაციონალური მოძრაობის ბათუმის შტაბის წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ შტაბი ზრუნავს ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების ამომრჩეველთა სიაში შეყვანაზე. „სამართლიანი არჩევნებისათვის“ გაუგებარია ასეთი განმარტებები, რადგან ორივე შემთხვევაში: კანდიდატების რეგისტრაციისა და სიებში ცვლილებების შეტანის ვადა საარჩევნო კანონმდებლობით გასული იყო.

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, ყვარელში ამომრჩევლებს, რომლებიც დაესწრნენ ოპიზიციური პარტიების მიერ წარდგენილი საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ გამართულ შეხვედრებს, შეექმნათ პრობლემები - საჯარო სამსახურში დასაქმებულ მოქალაქეებს, ძირითადად ხელმძღვანელები, პირდაპირ ან/და ირიბად დაემუქრნენ სამსახურიდან გათავისუფლებით, თუ ისინი კვლავ დაესწრებოდნენ მსგავსი სახის შეხვედრებს.

კვირის მნიშვნელოვანი პროცედურები და თარიღები

„სამართლიანი არჩევნები“ საზოგადოებას შეახსენებს იმ მნიშვნელოვანი ვადებისა და პრიცედურების შესახებ, რომელიც უნდა განახორციელოს საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციამ მიმდინარე კვირის (24-29 დეკემბრის) განმავლობაში.

24 დეკემბერი - ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანის ბოლო ვადა, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა: ქვეყანაში ახლახანს დაბრუნებული, სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერილი, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლებული ამომრჩევლები (არჩევნებამდე 12 დღით ადრე).

25 დეკემბერი - ცესკო-ს დადგენილების თანახმად ფინანსური მონიტორინგის ჯგუფის შექმნა.

26 დეკემბერი - საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ საბოლოო ამომრჩეველთა სიების მიღების ბოლო ვადა (არჩევნებამდე არაუგვიანეს 10 დღისა). საუბნო საარჩევნო კომისიები მიღებისთანავე აკრავენ ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნის თვალსაჩინო ადგილზე.



სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

29 დეკემბერი - საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ რეგისტრაციაზე განაცხადის შეტანის ბოლო ვადა. ცესკო რეგისტრაციის საკითხს გადაწყვეტს განაცხადის მიღებიდან ორი დღის ვადაში.

„სამართლიანი არჩევნები“ კვლავაც განაგრძობს წინასაარჩევნო პროცედურების მონიტორინგს და თანმიმდევრულად წარმოგიდგენთ მის შედეგებს.

აღნიშნული პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.



ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ევროკავშირისა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ოფიციალურ პოზიციას.



Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra